ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრი და ცხოვრება

სალიტერატურო სამხატვრო ჟურნალი

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

,,თეატრი და ცხოვრება‘‘

წლიურად 25 მან., ნახევარ წლით 15 მან. თითო ნომ-რი—5 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს.

1919 წ. № 5 კვირა, მაისის 11 ფასი 5 მან. წელიწადი მეშვიდე გამოცემისა

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლის ჟურნალ ,,თეატრი და ცხოვრება‘‘-ზე წლიური ფასი 25 მან.



შიო არაგვისპირელი
სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის
შესრულების გამო



რაფიელ ალექსის ძე ჩიხლაძე (1881-1919)

(წერილები იხილე 4 გვერდზე)



გენერ ლი ფონ-კრესი ქუთაისში გ. ზდანოვიჩის წიგნთსაცავში ქართველ მოღვ წეთა შორის
(ის. კვიცარიძის ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთ‘‘-ში)
მარჯვნით გენ. დ. ართმელაძე, მის გვერდით ქუთაისის მოურავი დ. კალანდარაშვილი, კ. დათეშიძე, მარცხნით გენ. ტ. ვაშაკიძე, მის გვერ. ფონკრესის ად. ბარონ გამმი და ბელეტრისტი დ. კლდიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადღეისო

**პირველმაისობა**

საქართველოს მშრომელმა ხალხმა წელს დიდებულად იდღესასწაულა მუშათა საერთაშორისო დღესასწაული—პირველმაისობა.

ოცდაათი წელიწადია, რაც მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხი ამ დღის ირგვლივ თავს იყრის. გაბატონებული წოდებანი, თვითმპყრობელი ხელმწიფენი ამ დღის უქმობას სასტიკად ეურჩებოდენ და ბევრი მსხვერპლიც შეიწირეს.

რათა?

იმად, რომ იგინი ამ დღესასწაულში ხედავდენ მუშა ხალხის აღდგომას, ყველა ქვეყნის მშრომელთა შეკავშირებას, ძველი წესწყობილების დამხობის წინასწარმეტყველებასა დ სოციალიზმის მოახლოვებას.

ჩვენს ქვეყანაში ამ დღეს წინადაც დღესასწაულობდენ, მაგრამ არაოდეს ისე ზეიმით არა, როგორც წელს.

წელს იგი ვიდღესასწაულეთ თავისუფალ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ე. ი ისეთ წესწყობილებაში, რომლის დამყარებას პირველ მაისობაც მოითხოვდა.

პირველმაისობას საქართველო თამარსაც იხსენიებს, იმ თამარს, რომელმაც საქართველო განაბრწყინა.

მაშ ეს დღე ჩვენთვის ორნაირი უქმეა—საერთაშორისო და ეროვნული.

და როდესაც ჩვენი ხალხი საერთაშორისო ჰანგებში ეროვნულსაც ჩააქსოვს, მთელი ქვეყნის წინსვლასთან თავის ქვეყანასაც არ დაივიწყებს, ჩვენი დემოკრატიაც ძლევამოსილი მაშინ გამოვა.

გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობა—ერთობას!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

**აღორძინება**

ჯერ ერთი წელიწადი არც კია, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, და ჩვენს მწერლობა-ხელოვნებას უკვე აღორძინება დაეტყო.

ოპერის საუკეთესო ნიმუშები უკვე ვნახეთ. ქართველ მხატვართა ნახატების გამოფენამა და შევარდნელთა საღამომ მოლოდინს გადააჭარბა. აღორძინების სიომ მწერლობასაც დაჰქროლა. ახლახან გამოვიდა ორი ჟურნალი, ერთი ქუთაისში „თეატრი და მუსიკა“, წმინდა ხელოვნური, მეორე თბილისში სალიტერატურო—სამეცნიერო,—ორივე ჩვენი ძნელი დროისთვის საუკეთესოდ გამოცემული.

ორივე წინამორბედია ჩვენი სულიერი აღორძინებისა.

სალამი და წარმატება ჩვენს ახალ თანამოძმეთ ..

**მომავალი ჩვენია**

ჩვენი სამშობლოს მკვდრეთით აღდგომა ბევრს მოსვენებას არ აძლევს. შინაური და გარეული მტერნი გველივით სისინებენ,—ვინ იცის, რით არ გვემუქრებიან: თავისუფლება არ შეგრჩებათ, დამოუკიდებლობას წაგართმევენ, თუ სხვას არ ემონეთ დაიღუპებითო და სხვა ყოველივე ამას ასდევს გულუბრყვილო ქართველიც და ელეთმელეთი ემართება.

საბრალია მოჩვენებისაგან ზარდაცემული: მას თავგზა ეკარგება და სინათლეშიაც კი სიბნელეს სჭვრეტს.

განა ადრევე გულის გახეთქვა გვმართებს, აქაო და როცა იქნება მოვკვდებით!

არა, განა!

ჩვენმა ქვეყანამ უკვე იგემა თავისუფლების სიტკბო, დამოუკიდებლობა, და მას დაიცავს კიდეცა. და თუ ისტორიულმა აუცილებლობამ ბრძოლაში ფრთები დააყრნვინა მითაც სასოწარკვეთილება არა გვმართებს!

ოღონდ ჩვენ საკუთარ რწმენაში, საკუთარ აზრში ნუ ვირყევით, მკლავებს ნუ დავხრით, ნუ ჩავიჩოქებთ და ჩვენის ქვენის დაწინაურებას მხნედ ვემსახურეთ.

რაც უნდა მოხდეს ნუ შევდრკებით და მარად გახსოვდეს, რომ:

„ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება!“

აწმყო რაც უნდა მძიმე იყოს ბრწყინვალე მომავალი მაინც ჩვენია..

**იოსებ იმედაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ვითა ფოთლები“

ჩვენმა ახალგაზრდა დრამატიულმა სტუდიამ და მისმა პირველმა „სასეზონო“ წარმოდგენებმა დიდი მითქმა-მოთქმა და აყალ-მაყალი გამოიწვიეს: ერთი მხრით შეიქმნა რაღაც შუღლი და ქიშპობა „ძველსა“ და „ახალს“ მსახიობთა კავშირის და სტუდიის შორის; მეორე მხრით პრესა და საზოგადოებაც ორ ბანაკად გაიყო, — ერთი ცამდის აქებდა, მეორე მიწასთან ასწორებდა სტუდიის პირველ ნაბიჯებს.

12 აპრილს პირველად დავესწარ სტუდიის წარმოდგენას („ვითა ფოთლები“) მაინტერესებდა, რასაკვირველია,, არა პიესა, არამედ თითონ წარმოდგენა, ახალგაზრდა მსახიობნი, „ახალი სული“ და... ნასიამოვნები დავრჩი!..

დაწვრილებით გარჩევა ჩემს მიზანს არ შეადგენს; ვიტყვი მხოლოდ: წარმოდგენა წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს ა ჰგავანდა მიუხედავად იმისა, რომ მხატვრულ მთლიანობას ბევრი ,რამ აკლდა. დიდი კმაყოფილება განვიცადე იმითაც რომ ვიხილე სწორე გზა, „შესაძლებლობა“ მომავლისთვის, ეს ვთქვათ სადა, წმინდა ხაზი, რომელსაც შეუძლიან თამამად გააფუოს ცომით გაწეული დიდი შრომა, საქმის სიყვარული, დ კვირვებული თამაშობა, ყოველი სიტყვის, ყოველი ნაბიჯის, ყოველი წვრილმანის მოზომა, მოხდენილი უსიტყვო სცენები, სადა ბუნებრივობა ყველაფერში. არა სჩანდა ტრადიციული შაბლონური ჟესტები, უადგილოდ „აწეული“ პათოსი, არ ისმოდა სათვალზე შემოკლებულ არტისტის „თავისი სიტყვები“ ერთი სიტყვით, წარმოდგენა წარმოდგენასა ჰგავანდა, და, თუ მხატვრულ მთლიანობას ვერ მიაღწია, ამაში ბრალი არ უდევს არც ბ. ჯაბადარს, არც სტუდიის საზოგადო მიმართულებას: სტუდიას აკლია საკმარისი რიცხვი ინტელიგენტ ახალგაზრდობისა!..

ერთმა მოვლენამ გამაოცა: ამ „ახალ“ სკოლას ჰყავანდა სუფლიორი „ძველი“: ისე ყვიროდა, თქვენი მოწონებული! როლები, ასე გონია, საკმარისად იცოდნენ, — რაშია საქმე?! საზოგადოდ სუფლიორი თამამად იქცეოდა: მთელი საზოგადოების თვალწინ მოურიდებლად ჰფურცლავდა რვეულს, სად იყო არა ამოჰყოფდა თავს... ჰო, ჩვენ ვიცით თ ე ო რ ე ტ ი უ ლ ა დ , რომ იქ სადღაც ს ა მ წ უ ხ ა რ ო თ ზის სუფლიორი, მაგრამ მაყურებლისთვის მისი ჭაჭანებაც—კი არ უნდა იყოს სცენაზე!

სად მხატვრული წარმოდგენა, სად ამეებზე ლაპარაკი!

ეტყობა, ჯერ ჩქარა ვერ მოვიშორებთ თავიდან ძველ სენს — უ დ ი ს ც ი პ ლ ი ნ ო ბ ა ს!

ორიოდე სიტყვა თვით პიესაზე იმდენად, რამდენადაც ეს შეეხება სტუდიას... „ვითა ფოთლები“, როგორც ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო მ ა ს ა ლ ა არ დაიწუნება, მაგრამ საზოგადოდ, როგორც პიესა, არაა ღირსი ისეთი ყურადღებისა, რომ მასზე დიდ ხანს შეჩერდეს სტუდია და მრავალჯერ გაუმასპინძლდეს საზოგადოებას მით: შაბლონური თემა, შაბლონური შინაარსი, შაბლონური ტიპები, შაბლონური მორალი და ყველა ეს ჩამოსხმული, იმ მხატვრისა არ იყოს „ფრიად“ შაბლონურ ზურათ ნახატებში. თავით ბოლომდე განუწყვეტელი ვიშვიში, დრამატიულ გრძნობათა ერთფეროვან ნელ ცეცხლზე დუღილი. თანამედროვე მსმენელის ფსიხიკა ვეღარ აიტანს ოთხ მოქმედებაში გაჭიანურებულს წუწუნს და ვიშვიშს.

რაც საჭირო იყო, სტუდიამ უკვე გამოსწოვა ამ პიესას და — კმარა!

წარმოდგენას ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო. ეს არც საკვირველია, არც მოულოდნელი და ამით ნურც სტუდიას გაუტყდება გული: ჩვენ არა გვყავს მუდმივი სათეატრო ინტელიგენცია; იგი დამფრთხალია! გვყავს მრავალ-რიცხოვანი ღემოსი მხოლოდ. „სანახაობისთვის,“ რომელიც ასეთ წარმოდგენაზე არ შევა, ქუდიც რომ შეუგდო. ვიმეორებ: ინტელიგენცია დამფრთხალია და საჭიროა კვლავ მისი გულის მონადირება; უფრო ხალხის გემოვნებაც თან და თან გაიზრდება. ეს ადვილი საქმე არ არის და მით უფრო საპატიო მისთვის, ვინც ხელს მოჰკიდებს ამ მძიმე საქმეს.

რასაკვირველია, მხოლოდ ნუგეშის სიტყვით არა გამოვა-რა: ბ. ჯაბადარს არც ცოდნა, არც ენერგია არ აკლია და საჭიროა მისცეს მას შეძლება განაგრძოს მეცადინეობა.

ვუსურვებთ გულით და სულით წარმატებას.

**ნ. შიუკაშვილი**



გრიგოლ ვეშაპელი

პუბლიცისტი, საქართველოს პარლამენტის ნაწევრალი და გაზ. „კლდე“-ს რედაქტორი რომელმაც მილიციის უფროსად და შ. ს. დირექტორად ნამყოფს ივ. კაჩეხოვს გაზეთშიდაუწერა-მექრთამეაო ამის თაობაზე კაჩუხოვმა იგი სამართალში მისცა. სასამართლო რამდენიმე დღე მოუნდა ამ საქმის გარჩევას და ბოლოს გ. ვეშაპელი გაამართლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსახ. ელო ანდრონიკაშვილი
[გადაღებულია ოპერა ,,შოთა რუსთაველში'' სადაც ლეკურს ასრ.]

## მსახიობ-მოცეკვავე ანდრონიკაშვილს

ჩვენი ეროვნული ცეკვა აუსრულებია პარიზში ხარკოვში, კავკაზში, ბაქოში, ბათომში, ქუთაისში და ყველგან ერთნაირი აღტაცება გამოუწვევია. პარიზში კავკასიურ საღამოზე გამოჩენილ მოცეკვავე ქალს პეტიპას თაიგული მიართვეს, მაგრამ პეტიპამ რომ ელო ანდრონიკაშვილის ლეკური იხილა გადაირბინა დარბაზი აღტაცებულმა, თაიგული გადასცა და უთხრა:

—,,ამისი ღირსი მხოლოდ თქვენ ხართ!''

ამ ცოტა ხანში მსახიობმა საზოგადოების თხოვნით ლეკურის კურსები დაარსა და მეცადინეობა დაიწყო. დიდის ხალისით ეწერებიან კურსებზე. მსახიობის ოცნებაა ქართულ ბალეტს საძირკველი ჩაეყაროს. ამ აზრით აპირებს საქართველოს სხვა და სხვა კუთხის ცეკვა შეისწავლოს და შემოდგომაზე კურსები სერიოზულ ნიადაგზე დააყენოს.

ვუსურვოთ პატივცემულს მსახიობ ქალს თავის განზრახვა აღესრულებინოს.

## სიმღერა

1

როცა მზე ამოიმაღლებს
კარავად შეკრულ მთაზედა
და ოქროს სხივთა მარაო
გადაიშლება ცაზედა, —
მყის გული ამიმღერდება
ბუნების სილამაზედა!

2

აი, დაჰბერა ნიავმა,
ტყემ ნაზად დაიშრიალა,
დ ირაკრაკა ტოროლამ,
ბულბულმაც შეიფთხრი ლა,
ამღ: რდა ცა და ხმელეთი,
აჟღერდა ჩანგი წკრიალა!

3

ღმერთო, რა სანახავია,
რა ძვირი გასაგონია, —
ძმობამა, ჩემზე მდიდარი
მე სხვა არავინ მგონია!

გ. ქუჩიშვილი

## ჩვენი მოღვაწენი

**რაფიელ ალექსის-ძე ჩიხლაძე** (1881-1919)

საერთოდ ჩვენმა ქვეყანამ და კერძოდ საქართველოს სოციალდემოკრატიულმა დასმა აპრილის მიწურულს დიდი ზარალი ნახა: მოულოდნელად და უდროვოდ გარდაიცვალა რაფიელ ჩიხლაძე; რომელიც 18 წ. პარტიაში მუშაობდა.

იგი იყო ნიჭიერი, ენამეტყველი და გრძნობიერი სახალხო მოლაპარაკე, თავგამოდ. პარტიული მუშაკი.

ძველი წესწყობილების დროს ბევრი ტანჯვა-დევნა გამოიარა: ციხე-გადასახლება, — აი მისი ხვედრი... მიუხედავათ ამისა იგი ერთხელაც არ ჩამოშორებია ხალხის სამსახურის საყვარელ საქმეს. მახსოვს იგი მეტეხის ციხეში: ჩუმი, შეუდრეკელი მუდამ უკეთესის რწმენით გამსჭვალული...

ბოლოს ეღირსა საქართველოს დამფუძნებულ კრების წევრობასაც, მაგრამ აღარ დასცალდა რომ თვისი ნიჭი აქაც გაეშალნა!..

მისი უდროვოთ სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით დღეს, როდესაც წვეულ ბევრნი არიან, ხოლო მისებრ ღირსეულ — მცირენი.

დარჩა უმწეოდ ცოლშვილი.

სამარადისოდ იქნება ხსენება მისი!

**შიო არაგვისპირელი** (შიო ზაქ. დედაბრიშვილი)

აი, მწერალი, რომელმაც მოღვაწეობა მწერლობაში უკიდურესი რეალიზმით დაიწყო და უკიდურეს; უმშვენიერეს პსიქოლოგიურ სკოლის დამყარებამდე აღიყვანა. ჩვენს დახავსებულ ერთ-ფეროვან მწიგნობარობაში შიო თითქო განცალკავებით იდგა, საკუთარი გზით ვიდოდა. იგია ერთი მამა-მთავართგანი ეგრედ წოდებულ პსიქოლოგიურ შემოქმედებათა სკოლის.

ადამიანის სულიერი ცხოვრების ყოველი კუთხეკუნჭული, — აი მთავარი ჰანგი მისის შემოქმედებისა.

პირველ დროის ნაწერებში შიო განსაკუთრებით ჩვენის სოფლის დაბეჩავებულ ხალხის ცხოვრებას გვისურათებდა [,,ჩემო შვინდავ!'' ,,ესაა ჩვენი ცხოვრება'' და სხ.]; ბოლოს ხელი მიჰყო საზოგადოდ ადამიანის სულის ვითარების გამომჟღავნებას. მისი ნაწერები იბეჭდებოდა თითქმის ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთში: რავდენიმე სხვა ენებზეა ნათარგმნი. ცალკე გამოცემულა ოთხი ტომი. აქვს პიესაც ,,შიო თავადი''

ქართველ მწერალთა კავშირი შიოს დღესასწაულს უმართავს მაისის 19. იმედია საზოგადოება ღირსეულად დააფასებს ამ ნიჭიერ მწერალს.

მწერალი ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდაა და ბევრი რისამე შექმნა შეუძლიან.

ვუსურვებთ დღეგრძელობას და მწერლობაში საბოლოოდ ჩაზმას.

**იოსებ არიმათიელი**



**თამარა აფხაზიშვილი**
(სასცენო მოღვაწ. 20 წლის გამო)

დაუზარელი, მუყაითი სახალხო პროვინციალურ სცენის მოღვაწე თ. აფხაზიშვილი 20 წ. წინად გამოვიდა თბილის. სცენაზე და დღემდე ყველა სახალხო სცენაზე მუშაკობს. ცინდი ამაგი მიუძღვის ავლაბრის სახალხო წარმოდგენების სადაც მუდამ მთავარ როლებს ასრულებს უკანასკნ. წლებში გამუდმებით მონაწ. ხაშურის სცენაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# განახლებული სიცოცხლე

**რომანი**

ქართველ-სომეხთა ომიდან

[ლ. გუდიაშვილის ნახატებით]

(გაგრძელება. იხ. თ. და ც. № 4)

მას შემდეგ, რაც საქართველომ ისტორიულ აუცილებლობით თავის პატრონობას მოჰკიდა ხელი და დამოუკიდებლობა გამოაცხადა: რესპუბლიკა შეჰქმნა, მამა პაპეული მიწაწყლის შემოფარგვლას მიჰყო ხელი და რესპუბლიკის საზღვრების დასაცველად სადარაჯოები დააწესა, სომხეთის მხრით მოდარაჯე რაზმებს ხშირად ჰქონიათ სამშობლოს წარსულის შესახებ საუბარი. ამ საზღვარზე მოსული ყოველი ქართველი, რაც უნდა უკიდურესი ინტერნაციონალისტი ყოფილიყო, სამშობლოსადმი გულცივი, აქ ძველი საქართველოს ნაშთების ხილვით გარდაიქმნებოდა ხოლმე. . აქ ყოველ ბორცვზე, ყოველ ფერდობზე, გორაკზე ჰხედავდა ძველს ეკლესიათ, მონასტრის ნანგრევთ, ციხე-კოშკთ, დიდებულად ნაშენთ ძველ ქართველთაგან; აქ ჰხედავდა ძველის-ძველ სასაფლაოებს ქართულის წარწერით და ჩუქურთმებით, ხელოვნურ ძეგლებს, ნავენახობთ, ტაგარ-ნასახლართ.. ყოველივე ამასთან თითოეულ ქართველს თვალწინ მიმოუქროლდა ლანდები ძველთა გმირთა, ღვაწლმოსილ მამა პაპათა, რაიც ურწმუნო ქართველს თავის თავის ღრმა მორწმუნე მამულიშვილად გარდაჰქმნიდა ხოლმე. თითქო მხოლოდ ლანდებიღა დაჰქროდენ ამ ძველ ქართველთა მონარჩქზე...

აქ, სამხრეთ საქართველოში ბორჩალოში, ძველი მოქირნახულე ქართველი მშრომელი გლეხკაცობისა მხოლოდ უთვალავი სამარეებიღა თუ მოიპოებოდა, აქა იქ მთებში მოფანტული იყო თითო ოროლა ქართველთ სოფელი, რომელნიც სომეხთა ახალი ჯურის ,,მებატონენი'' ჩაჰფრენოდნენ.. ქართველ მემამულეთა მელიქიშვილთა, ქობულაშვილთა, ციციშვილთა, აფხაზთა, სუმბათიშვილთა, ლორის მელიქთა, ჯომარჯიძეთა და სხვა მამულების დიდი უმეტესობა დასახლებული იყო თათრებით, გადმოხვეწილ სომხებით. ჩამოსახლებულ ნემენც-რუსებით და სხ. ბევრი მამული სომხის ფულანდართ შეეძინათ; თითოეულ მათგანს რესპუბლიკის მთავრობა ისევე მფარველობდა, როგორც საკუთარ მკვიდრ მოქალაქეს. აქ ყოველი ეროვნების გლეხი, ბერძენი, ქართველი, თათარი, სომეხი, რუსი თუ სხვა, პატიოსანი მიწის მეურნე ანუ ვაჭარ-მრეწველი საქართველოს თანასწორი შვილი იყო. იგინი რესპუბლიკის ჩრდილქვეშ იძვებდენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ზრუნავდა საყოველთაოდ ისეთი წესები შეექმნა, რომელიც ყველა მოქალაქეს უფლებრივნივთიერ თანასწორობას მიანიჭებდა... სწორედ მას ვერ ურიგდებოდენ ისინი, რომელნიც ნიადაგ სხვის დაჩაგვრაზე და უცხო ძალის გაბატონებაზე ამყარებდენ თავის კეთილდღეობას. ესენი იყვნენ გზა-აბნეული სომეხთა ბრმა ხელმძღვანელნი, რომ, როგორც თვით საქართველოში, ისევე ბორჩალოში, აჯანყების ცეცხლს აგიზგიზებდენ... ასეთი ცეცხლის გიზგიზი აშუქებდა ჩვენის წარსულის ლანდებს, რომელნიც განახლებულ საქართველოს აღვიძებდენ და საქართველოს თავისუფლების მცველ ახალგაზდა ჯარისკაცთ საამოდ ელამუნებოდენ.

ზამთარი მეჯლისობდა... თოვლი ბარდნიდა, ცივი ქარი მოდარაჯეთ თოვლს თავპირში აყრიდა.



ხიდთან, ცოტა მოშორებით, პატარა სადარაჯოზე დიდი მუხის კუნძი ნებისად იწვოდა და ბოლავდა. რამდ. ჯარის კაცი ცეცხლაპირას შემოსხდომიყო, ხოლო ერთი ყბა-ყურებ ყაბალახ-შემოკრული, ტყავში გამოხვეული, სქელნაბდის ყელიან ფეხსამოსებში ფეხებ-ჩადგმული, ცეცხლის მოშორებით წინდაუკან მიმოდიოდა, უფრო ხშირად კი თოფზე დაყრდნობილი ერთს წერტილს დააცქერდებოდა. ფიქრით მშობელ კერას დაჰფარფატებდა, ყველანი თითქმის ერთის კბილისანი იყვნენ, ასე 19-23 წლისანი.

უცებ თოფის ხმა მოისმა.

—აცა!—შესძახა ერთმა; ბიჭოს, ეს მეორე... რა ამბავია! საიდან უნდა იყოს?

—აიგერა, იმ სოფლიდან უნდა იყოს, მიუგო დარაჯმა მცირე ხნის ყურის მიგდების შემდეგ და თან ხელი გაუშვირა ზევითკენ.

ახლა ორჯერ ზედიზედ მოისმა.

— ბიჭოს, ხუმრობა საქმე არ არის. ერთი ჩვენც ვახალოთ, გაიგონ რომ არც ჩვენა ვართ მკვდრები.

სთქვეს და ყველამ ერთად ისროლეს თოფი. ყური მიაპყრეს. ყოველივე მიწყნარდა. აღარა ისმოდა-რა.

—იქნება ვინმე მგზავრთაგანი იყო, ჩაილაპარაკეს, მერე ზოგმა თავ-თავისი თუნუქის ბაკლაშკა მოიყუდა—ე დალოცვილი რა დროს დაგველიაო, და ჩვეულებრივ ლაზღანდარობას მიეცნენ; ზოგმა თოფი ლაჯებში ამოიდო, თავი მისდო, ეგება თვალი მოვატყუოო, და მწარე ფიქრებს მიეცა...

საშინელი ქარბუქი ამოვარდა, დაუცხრომელი ბორიო დგა. მოდარაჯე რაზმის ბინა-ცეცხლი თუმცა დაბლობში იყო, მაინც ქარი ჰფანტავდა... ცივი თოვლი დარაჯებს ცხვირპირში სცემდა, ამიტომ თითოეულმა მათგანმა მომქროლ სუსხიან ქარს ზურგი შეუქცია.

მიაფუთნული დარაჯი გიოც ოცნებით შინისკენ ჰფრენდა. ლაჯებში ჩაყუდებულ თოფისთვის მკლავები შემოეხვივნა და მთელი თავისი არსებით მხოლოდ ობლად დარჩენილ ოჯახზე ფიქრობდა, იგი ერთად ერთი შვილი იყო თავის დედ-მამისა. მისი დედ-მამა სოფლელი უსწავლელი მშრომელი გლეხები იყვნენ, თითონ 19-20 წლის თუ იქნებოდა. როგორც ერთად ერთი შვილი მამამ ადრევე დანიშნა უცხო სოფლის ოჯახიშვილის ქალზე: დროით რძალს მოვიყვან, ეგება შვილმა ჩემს ოჯახში სანთელი აანთოსო! ამ ოცნებით სტკბოდა გიოს მამა, როდესაც სამშობლომ მისი შვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო სამსახურში მოითხოვა. მამას, დათიას, შეეძლო თავისი შვილი გადაერჩინა, მაგრამ შვილმა იუკადრისა:

—როგო, მამი! ჩემი ტოლი ამხანაგები ბრძოლის ველზე გავიდნენ და მე შინ ვიჯდე?! მერე თავი როგორლა გამოვყო გარეთ, თავი?! არა, მიჯობს, იქ მოვკვდე, სადაც ჩემი ამხანაგები იბრძვიან!—უთხრა და სამხედრო სამსახურში შევიდა...

გიო საქართველოს საზღვრის მცველ ჯარში ჩარიცხეს, სადაც ერთგულად მსახურებდა, თუმცა მისი რაზმიდან არა ერთმა და ორმა მოჰკურცხლა შინისკენ სახელმწიფო ტანისამოსით.

შობა-ახალწელიწადი მოახლოვებულია. გიო სწორედ ამ გამსხნილებაზე ფიქრობს თავის საყვარელ დანიშნულზე ჯვარის დაწერას, მაგრამ სად არის?

—მარგო, ჩემო მარგალიტა, ნეტა ეხლა როგორა ხარ? რას ფიქრობ?! მელი თუ გულიდან ამომირეხე! ჩემო სულო, ჩემო თვალის ჩინო, ჩემო, ჩემო... ოოჰ!. რა ტკბილი იყო პირველი ღამე!..

მართალია, ჯვარი არ დაეწერნა, მაგრამ ბელგა უკურთხეს თუ არა, იმავე ღამეს თავის დანიშნულთან დაწვა, დაწვა და... მეორე დღეს მისი საცოლოს დედა. გიოს სიდედრი, პირმღიმარი გამოვიდა საწოლ ოთახიდან:—ყოჩაღ, სიძე-ბატონო, ყოჩაღ! ვმადლობ ღმერთსა, რომ ჩემ ქალს ღირსეული პატრონი გაუჩინა,—მეცხრე თვეზე შვილის შვილის ღირსი გავხდებით,—უთხრა და სასიძოს წელზე ვერცხლის ქამარი შემოარტყა.

ოჰ, რა ბედნიერი იყო გიოსთვის ეს წუთები. მას შემდეგ სამი თვეა გასული, ექვსი თვეცა—და გიოს შვილი შეეძინება, იქნება ბიჭიც. მაგრამ თუ ჯვარი ჩქარა არ დაიწერა, მის საცოლოს ხომ თავი მოეჭრება?!

—„არა, არა! ეს ერთი კვირაც დავიცდი და თუ უფროსმა ნება არ მომცა, გამოვიპარები, გამოვიქცევი, ჩემო მარგალიტა, რომ საუკუნოდ ჩაგეხვიო დ შენი გულიც გავახარო! ოჰ, ეს წყეული „ვოენი" სამსახური. მაგრამ ალბად ესეც საჭირო ყოფილა... ჩემო სულო, ჩემო მარგო, მარგალიტა!.. მოვალ, მოვალ სამშობლოს წინაშე ვალ-მოხდილი, მოვალ და მერე ჩვენს ტკბილ სიცოცხლეს ველარავინ შეარყევს."

გიო ასეთ ფიქრებში იყო გართული, ოცნებით თვის დანიშნულთან საკუთარ კარ-მიდამოზე, როდესაც ირგლივ სომეხთა ამბოხებულნი სომეხ დ რუს აფიცერთა წინამძღოლობით ნელნელა ეპარებოდენ... ნელტკბილ ბურანში მყოფი გიო რაღაც ფაჩუნმა გამოარკვია, ცეცხლა პირისკენ გაიხედა და დაინახა, რომ მის ამხანაგნი ყელ-გამოჭრილნი ხრიალებდენ; ზოგთა სხეულები ცალკე ეყარნენ, თავები ცალკე... გიომ, თითქო ბნედა დაეცაო, ერთი ყრუდ, ხმა ჩაწყვეტილად ამოიგმინა „დედი, მარგალიტა" და თავქვე ჩასრიალდა მთავარ სადარაჯოსკენ...

საქართველოს სანაპიროს მცველ მთავარ რაზმის ბინაზე უცებ ელდის ელვამ გაიქროლა...

—ათის თავი ლადო ჩხაიძე რა იქმნა? იკითხა უფროსმა.

—გმირულად შეაკვდა მტვრსა თავის ბიჭებით.—მიუგეს

—„ბიჭებო, ხელი თოფსა?" დაიძახა უფროსმა პორუჩიკმა ბოკერიამ და გარედ გამოვარდა თავის ხელქვეითებით, მაგრამ წინსვლა ველარ შესძლო: შენიშნა, რომ ხალხის აზვირთებული ევება ბრბო მისკენ მოიწევდა. მის ხელქვეით ჯარისკაცთაგანი რამდენიმე მიმოიფანტა შესაფერ სანგრების მოსაძებნად.

—ნიკოლაშვილო, ნუ თუ შენც თავს დამანებებ,—გასძახა პორუჩიკმა ბოკერიამ თავის მუდამ ერთგულ კახელ ბიჭსა: დედა შეერთოს ცოლად, ვინც სამშობლოს მტერს ზურგი უჩვენოს!—გაისმა პორუჩიკ ბოკარიას ვაჟკაცური ხმა.

ორივე ჩაცვივდა ბოგირის ქვეშ: ერთი ერთ მხარეს, მეორე მეორე მხარესა და თავდამსხმელთ კრიჭაში ჩაუდგნენ. ასტყდა ორივე მხრით საშინელი სროლა და ეს სროლა იქამდე გაგრძელდა, ვიდრე ბოკარიასა და გიოს პატრონები არ შემოელიათ. როცა ამათეს მხრით სროლა მისწყდა და ორი გალომებული ჭაბუკი, ცეცხლის მკვეს თვალებით თოფ-ხიშტებ მომარჯვებული



ბოგირის ტინების მოფარებით მტერს ელოდა, მაღლიდან ნელ-ნელა მოცოცავდენ შავი ლანდები, გამხეცებული ველურის მსგავასი ადამიანები... როცა თავდამცემ სომეხთ შეატყეს ჩასაფრებულთ ტყვია დაელიათო, უფრო გაბედვით წამოიწიეს წინ, პორუჩიკმა ბოკერიამ და ჯარის კაცმა გიომ აღარ ახანეს, ერთი შესძახეს: „ვაშა საქართველოს! გაუმარჯოს საქართველოს!" და ხიშტებით დაერივნენ ბრბოს... მაგრამ ხანგრძლივი არ იყო ეს შეტევა: იქამდე აგებდენ ხიშტებზე, ვიდრე მკლავები არ დაუდუნდათ...

გაავთრებულმა ბრბომ რკალი შემოავიწროვა, თავდამცველნი დიდის ყიჟინით ფეხქვეშ ჩაიგდო. ერთს წამს, თითქოს ყოველივე დაყრუვდაო, სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ გაისმა მხეცური ღმუილი და ორი ერთგული, თავგამოდებული დარაჯის ასო-ასო აკუწული სხეულები მდინარემ ჩაითრია...

ბრბო დღესასწაულობდა... გარკვევით ისმოდა კომისარის ნიშნის მოსაგები გესლიანი სიტყვები: „ახლა როგორ ვართ კნიაზჯან?!."

—ტერტერას ქალი გნებავს განა?!

—არა ჰაგუას თაქუხ რძალი უფრო მოუხდება?

—რძალი კი არა ბოხვერა ძაღლი!—ისმოდა აქეთ იქიდან საერთო ხორხოცში.

კომისარი-კი გულში კვალად სიამოვნებდა: „რა სულელი ხალხია! რა ხელად დავაჯერე და გადმოვიბირე!"—ფიქრობდა თავისთვის.

ხოლო ჰაერში, თოვლის ქულოების ქროლვაში ჯერ კიდევ გაისმოდა ქართველ ერთგულ, თავდადებულ ჯარის კაცთა ხმა:

—„ვაშა საქართველოს!.. გაუმარჯოს! საქართ-ველოს",

და ეს ბგერა სამშობლოს გულისკენ მიჰქროდა მწარე ამბის მისატანად ..

(გაგრძელება შემდეგ ნომერში იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენები

გაგრძელება.—იხ. „თ. და ც." № 4)

სოსო ჩემი სულის ტრაღედიისა..· ეს უფრო მართალია! შენა გგონია, ჩემთვის ადვილია ზურგი შევაქციო ჩემი სიყმაწვილის ოცნებათა ვანებას, ჩავკლა ჩემში სულის საუკეთესო განძი-შენი სიყვარული და დავემორჩილო ცხოვრების სინამდვილეს? შენ თითონ ამბობმ: წერლობის ნიჭი გაქვსო... მერე რითი? რომელი თანხით? ვ თქვათ მე და შენ დავქორწილდით..

ან. გთხოვ, მაგაზე —ნუ! ჩემთვის ნუ სწუხარ!.. მე დავძლევ ჩემს თავს! . თუ შენს მართლ და უტყუარს ნიჭს გზასა და საზრდოს მიცემ ჩემი ბედნიერებაც ეს იქნება... გავათავოთ ამაზე ლაპარაკი..

სოსო ხომ არ მიჯავრდები, რომ დღევანდელი ესკიზი შენ გიძღვენ?

ან. პირიქით, მადლობელი ვარ!.. რამდენი სასიწყარკვეთილება შიგ?!

სოსო ჩემი გულწრფელობაც ხომ გრწამს?

ან. შენს გულწრფელობაში არასოდეს ეჭვი არ შემიტანია.

სოსო მით უფრო შესაბრალისი ვარ შენგან.

ან. ამიტომაც ვშიშობ—გამოგადგება კია ისეთ ცოლად, როგორც შენ გეჭირება?! გაიგებს შენს სულსა და გულს, მიგიხვდეს რასმეს ამხანაგობას გაგიწევს? მეშინია, სხვების ბედი არ გეწიოს!..

სოსო რა ბედი?

ან. ისა, რომ ბოლოს ნანობენ!

სოსო სისულელეა! მშვენივრად ცხოვრობენ და კმაყოფილნიც არიან.

ან. ეგრე გგონია?

სოსო თვალები გაახილე და დაინახავ!

ან. (დიდხანს თვალებში მისჩერებია) გისურვებ ბედნიერებას! (ხელს ართმევს გაბრუნდება და თვალებს იწმენდს. სოსო ჩაფიქრდება).

რეზოს ხმა: ჰეი! ვინა ხართ ცოცხალია დამიანი? ნიშნობა რომელ სახლშია?

სოსო (გამოერკვევა) აქეთ, აქეთ! (კარს უღებს) რეზო.

რეზო სიძეს ვახლავარ!. გამარჯობა ანეტა!

ან. ეხლა ერთად არ ვიყავით!

რეზო მე მსურს ხშირად მეჭიროს თქვენი ხელი, იქნებ გაგრძნობინოთ ჩემი გულის ძგერა.

ან. თუ ღმერთი გრწამს, სისულელეს თავი დაანებე?

რეზო ვფიცავ უზენაესს, ჰერშმარიტებას ვამბობ.. ვიწვი და ვიხრაკები! მომედო ცეცხლი,ს გეენა, ალმური და ალისქარი! ტანში ჟრუანტელი მივლის, ტვინში ჭიანჭველები დაბობღავენ, თვალებიდან ცეცხლ ს ნაპერწკლები მცვივა, სული სდუღს, გული გადმოდის და ყანყრატოში ერთი სიტყვა გაჩხირულა „მიყვარხარ!" აჰ, თვეში ერთი 60 მ. ჯამაგირი მქონდეს, ხელად ჯვარს დავიწერდი!

ან. მე აღარ მკითხავდი?

რეზო შენ პირველად თავპატიუ იდებდი მერე დათანხმდებოდი. ეგრე უნდა!.. მაშ კისერზე რომ ჩამომეკიდო—ისლარც მე წაგიყვან ეჰ, ფული, ფული!!. სოსოჯან! მოდი ერთი თი მეგობრობა გამიწიე შენი ცოლის მზითვი შუაზე გავიყოთ!

სოსო სიამოვნებით!

რეზო მაშინ მეც წამოვიდოდი რუსეთში, ანეტა კურსებზე, შენი ცოლიც... (ანეტას) არა შენს ცხონებულს მამა იმას კი დაადგეს კუპრის ნათელი..

ან. რა იქნებოდა, როცა დაიბადე შენს სახელობაზე ერთი ათი თუმანი შეეტანა ბანკში?.. ეხლა ხომ მთელი „კაპიტალი" იქნებოდა... სამაგიეროთ ისეთ ლექსს დავუწერდი საფლავის ქვაზე, ისეთს, რო.,. რო!..

სოსო მართლა, დღეს შენი ლექსი მშვენიერია.

რეზო ეჰ, რა გამოვიდა ძმაო?! ვგრძნობ რაღაც აკლია, იმიტომ, რომ (თავზე უჩვენებს) მე აქ მაკლია!.. სწავლა მინდა—ფული იოხტურ! ვერსად ვერაფერი გავხდი—დავდივარ—ქუჩებს ვზომავ!.

სოსო რატო რედაქცია არაფერს გაძლევს?

რეზო ჰო და ამის შემდეგ რა უნდა ჰქნას კაცმა? სწერ იმიტომ, რომ არ შეგიძლია არა სწერო! სული მთხოვს,. სული მაძღარია კუჭი კი ცარიელი!

ანეტა კუჭი რომ სავსე გქონდეს, მაშინ ხომ აღარც ქართველი მოღვაწე იქნები.

რეზო ეგეც მართალია! მაშ ვირთავთ, ვირთ ვთ ცოლს!?!

ან. ოჰო?

სოსო რას მიჰქარავ, ბიჭო?!· ვირთავთ კი არა,—მე ვირთავ!

რეზო ჰო, უკაცრავად!.. ჰო შენ ირთავ! მე კი „მეჯორე" ვიქნები. შენ რაო ქალბატონო, რომ წამოიძახე, ხომ არ ეჭვიანობ?

ან. გაგეხარდებოდა!;

რეზო ცას ვეწეოდი!

ან. ვერ ვხედავ ეჭვიანობის საბაბს.

რეზო სოსოს ცოლს რომ გავუაშიყდე

ან. მაშინ——ჰო

რეზო სოსოჯან, გენაცვალე, მიშველე! ნება მომეცი ტასოს გავუარშიყდე ხუმრობით!

სოსო თუნდა უხუმროდაც.

რეზო მაშ მოიყვათ ჩქარ საპატარძლო!, (ყვირის) ეჰე!..

ან რა გაღრიალებს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო ქორწილია, ქორწილი!

იაგორა.

იაგ. აა, ვი პრიშლი?

რეზო დიახ, მი პრიშლი, კაკ მოჟნა!

იაგ. სტარი ჩელოვეკ — სმოტრია ნიჩაროში.

რეზო ია ნი სმოტრია .. ია ვამ სერიოზნათ ღოვორიტ. იაგორ მიტროფონიჩ, საპატარძლო ლდე? რატომ არ გამოდის?

იაგ. სიჩას ბუდიტ.. იცვამს... (სოსოს) ნიშანი ხომ მოიტანე ბეჭედი, საათი?

სოსო ბეჭედი მოვიტანე, საათი კი არა.

იაგ. რატომ? უსაათობა როგორ შეიძლება?

სოსო რა საჭიროა ამდენი ნივთები? სიტყვა ნივთზე ძვირფასია.

იაგ. სობსტვენო ღოვორია სიტყვა ქარია!. კაკ მოჟნა? საათი უნდა მიართვა საცოლეს და 12-ზე დააყენო.

რეზო რატომ უსათუოთ 12-ზე?

იაგ. იმიტომ რომ საათზე 12 ყველაზე მეტი რიცხვია.. ეს ნიშნავს ცოლქმრობის ხანგრძლივ ბედნიერებას. .

რეზო ახლა რომ საათზე 24-ია.

იაგ. ი ენტა მოჟნა!

რეზო სისულელეა!

იაგ. სობსტვენო ღოვორია-უჩიონი ნაროდ ნიჩავო ნე პონიმაეტ!

ან. თავი დაანებე, რას უხირდები?

რეზო კაკ მოჟნა?!

იაგ. ვი პიშიტ?

რეზო წერილებს? ქალებსა ვწერ.

იაგ. ნიეტ!. ნა გაზეთ, გაზეთ!

რეზო ვწერ.. მერე?

იაგ. მიკვირს! კაკ მოჟნა, პიშიტე, კოგდა უმ სავსემ ნიეტუ.

რეზო ხა, ხა, ხა, სობსტვენო ღოვორია, წერას უმი არ უნდა, იაგორ, შენც ძალიან კარგად შეგიძლია დასწერო...

იაგ. აბა მე დურაკი ვყოფილვარ?!. (იცინის) დურაკი!.. ვი ჟენა ნი დასტანიშ!.. (სოსოზე) აი უმნი ჩელოვექი!..

სოსო ნუ გაჯავრდებით, იაგ. მიტ. ამან ეგრე იცის ხუმრობა

იაგ. ხუმრობა ჩვენც ვიცით, მარა ბრიყვია! ახათ გამოაგდეს ღიმნაზიიდან... მაგისაგან. ნიჩევო ნე ვიიდეტ!.

რომსიმე კარებში.

რომს. იაგორ მიტროფონიჩ, შეიძლება?

იაგ. შეიძლება, შეიძლება! (ყველანი ადგებიან. რომსიმეს შემოჰყავს ტასო ჩაცმული მდიდრულად, მაგრამ უგემურად და ჭრელად. ძალზე წასმულია სახე. იგრიხება იბნევა, ხელის ჩამორთმევის დროს უშნო რევერანსსი)

რომ. აჰა, ესეც საპატარძლო!

სოსო (ხელს ართმევს და თაიგულს გადასცემს ტასო რაკი ყველას ხელს ჩამოართმევს, დაიბნევა, არ იცის საითწავიდეს და დედას უმწეოდ მისჩერებია. რომსიმე ხელს მოჰკიდებს, დივანზე დასვამს და გვერდით მოუჯდება. უხერხული დუმილი. ანეტა გულნატკენად მისჩერებია, არც რეზოა კმაყოფილი. სოსო დარცხვენილია. ტასო თავჩაღუნულია, რომსიმე უაზროდ იღიმება და ცმუკავს იაგორა კრიალოსანს ათამაშებს ისე, რომ მხოლოდ მისი ჩხარუნი არღვევს სიჩუმეს.

რომ. ქა რა სულელი ვარ! პატარძალს გვერდით მე თითონ მოუჯექ და სიძე-კი იმ სიშორეზე ზის... აქეთ მობძანდით, გენაცვალე, აქ დაჯექ!

სოსო აქაც არა მიშავს-რა ბ-ნო!

რომ. არა გიშავს რომელია, ქა! ნეფე დედოფლის გვერდით უნდა იჯდეს. (ხელს მოჰკიდებს, მოიყვანს და ისე ძლიერ დაანარცხებს, ასე ჰგონია: დივან მავთულები დაწყდაო) ასე ერთად გამყოფთ დედაშვილობის გამჩენმა წელიწადს!.. ოქიკქიკეთ შვილებო!.. მე აგერ ჩემ ბებერ იაგორს მოვუჯდები.

სოსო (სიჩუმე) რატომ ეგრე მორთულხართ

ტასო როგორ?..

სოსო აგრე... მდიდრულად?

ტასო დედამ მითხრა: ეგრე ჩაიცვიო.

სოსო რა საჭიროა ამდენი წითელი ლენტები?.. სადაც უნდა ჩაიცვათ ხოლმე. . უფრო დამშვენდებით.

ტასო დედამ მითხრა ..

სოსო თქვენ ყველასფერს უჯერით ხოლმე დედას

ტასო მაშ როგორ იქნება?

სოსო კვლავ მე უნდა დამიჯეროთ ხოლმე. ხომ ეგრე იქნება?

ტასო რაკი ცოლი ვიქნები... კიდეც უნდა დაგიჯეროთ.

სოსო ხომ გსურთ ჩემი ცოლობა? მითხარით, ნუ გერიდებათ.. დღეს უკანასკნელი დღეა კარგად დაფიქრდი... იქნება არ გსურთ და დედა ხილას გატანს...

ტასო დედასაც ძალიან გულით სურს.,.

სოსო თქვენა?

ტასო მეც... მაგრამ ..

სოსო რა მაგრამ?

ტასო მე მინდა მუდამ თქვენთან ვიყო რუსეთშიაც...

სოსო რა თქმა უნდა — სულ ჩემთან იქნებით.., რუსეთშიც... იქ ორივენი სწავლას შევუდგებით... მე გასწავლით... მერე კურსებზე მიგაღებინებთ...

ტასო ვაიმე — არა!.. კურსებზე არ მინდა!.

სოსო რატომ?.. ეგრე რათ შეშინდით?

ტასო ასე ამბობენ: კურსისტკები და სტუდენტები.. გაგძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ხაშმიხ სახალხო გვარდია** (სურათი გადაღებულია 1918 წ. ქრისტეშობის 12 სად. იორზე)

ძველი წესწყობილება რომ დაიმხო. გარეთ-კახეთში ვანო მაისურაძეს—ტურას—დაეკისრა საგანგებო რაზმის შედგენა. ამ რაზმში თავი მოიყარა 200-დე კაცს. რაზმი შესდგებოდა სხვა და სხვა ეროვნებათაგან. არ გაიარა დიდმა ხანმა, ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ანარქია, ამ ანორქიის საწინაალმდეგოდ გარე-კახეთიდან პირველად ხაშმელი გვარდიელები იყვნენ და მას შემდეგ არ გაჩენილა არც ერთი საომარი ასპარეზი, რომ ეს გვარდია ყველგან მუდამ წინა რიგებში არა მდგარიყვეს: დუშეთში, ბორჩალოში, ახალციხეში. სოჭში და სხ. ამ გვარდიის შედგენა-ჩამოყალიბებას დიდი ამაგი დასდო ხაშმელმა გლეხმა ვანო მაისურაძემ ტურამ; გვარდიის ხელმძღვანელი-სარდალი იყო ადგილობრივი გლეხივე პეტრე ივანეს-ძე ლაღიძე, წარმოსადეგი ვაჟკაცი, რომელიც ამა წლის მარტის ექვს ახალციხეში მოკლეს ბრძოლის დროს. აღსანიშნავნი არიან აგრეთვე გვარდიის ხელმძღვანელნი დავ. ზუკაკიშვილი ალ. ნიკოლაშვილი, ვასო გოგნიაშვილი, იოსებ ხუროშვილი. იოსებ ყირმელაშვილი, ანდ. ქოქრაშვილი ლ. ნახუცრიშვილი და სხ.

მალე სხვა სოფლებშიაც-შესდგა გვარდიელთა რაზმები, რომლებიც ხაშმელებს მხარში ამოუდგნენ.

## გლოვა

(ქეთო და თამრო)

უდროვოთ დამჭკნართ ორ სიცოცხლის ორი სათვალავი
მე მელანდება, და ვქვითინებ სევდით მწუხარე...
ქვითინი ჩემი უსაზღვროა, და გულსაკლავი,
ისე ვით დანთქმულ სილამაზის ორი სამარე ..
მე მელანდება სილამაზის ორი სახება,
ორი სახება, შეუვარებულთ ოცნების მზეზე...
ოხ! რა ძნელია, როს უდროვოდ ვარდი დასჭკნება,
ოხ! რა ძნელია, ფიქრი დანთქმულ სილამაზეზე?
იტირებს სული, შემოდგომის ყვითელ ფერებით...
ისევდიანებს მწუხარებით დონე-მიხდილი
და ვივლი ქვეყნად, საწუთროზე გადამტერებით
მძიმედ, უსიტყვოდ, უხალისოდ, როგორც სიკვდილი.

დ. დოლიძე

## ივერია

(კანტატა)

სიჩუმე... სიჩუმე... სიჩუმე...
ყინვით შებოჭილი, სამშობლო დევნილი
ქვეყანა ცრემლითა და სისხლით მორწყული,
ჩვეული დარხევას, ფეხქვეშ გათელვას!..

იელვა... იელვა... იელვა...
ქუხილი მოისმა... მთა ბარმა — ხმა გასცა,
ჭაერი დაიხშო... ქვეყანა აძრწუნდა,
აკვნესდა, ატირდა, ვაებამ წალეკა!

იჭექა... იჭექა. . იჭექა...
ყინვარი განრისხდა!.. მთა ბარი ათორთხლდა,
კლდეღრენი დაიძრნენ, ზღვა-წყალნი აშფოთდნენ,
ტალღები ცას ეცნენ, ცა მიწას დაეცა!

დალეწა... დალეწა.., დალეწა...
ბორკილი დაიმსხვრა.. ნიავმა დაჭქოლა!
მზის სხივმა ღვთის მშობლის წალკოტი ჩაკოცნა!
იმერნი, ამერნი შეერთნენ, შეზღუდნენ...
მკვდრეთით აღზდგნენ, მკვდრეთით აღზდგნენ
სხივში საქართველო მოსილი წარმსდგა,
ხელახლად აჭყვავდა!?, სხეულით დუღდება..
მაგრდება... იზრდება... ქართველთა დიდება!
დიდება... დიდება... დიდება!!

ი, ვაჟი



**სოფ. ტარუაშვილი**
(ს. გლახაშვილი)
მწერალ-დრამატურგი; სცენის მოყვარე და პირველი ქართული საბუღჰალტერო სახელმძღვანელო წიგნის ბუღჰალტრია—დავთართწარმოება ‹‹-ს შემდგენელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამა-შვილი

ქალაქ №-ს ერთ—ერთ დიდ ქუჩაზე, მეორე სართულში, სცხოვრობდა ნიკო კერაშვილი. სადილობაა. კერაშვილის ბინაზე ხშირი ზარის ხმა ისმის. სუფთად ჩაცმული ბიჭი მ.რდ.დ უღებს კარს სტუმრებს.

—მობძანდით ბატონო, ღიმილით ეგებება სტუმრებს კარებში ნიკო, ყველა ულოცავს სახელწოდების დღეს. აგერ ერთმა ყმაწვილმა ალერსით შეხვდა ნიკოს და მთელი ყვავილების კონა მიართვა. ნიკოც ყველას თავაზიანად მადლობას უხდის და სტუმრებს დარბაზში იწვევს.

დარბაზი ქართულ გემოვნებაზეა მოწყობილი. კედლები და თითქმის მთელი იატაკი ხალიჩებით არის დაფენილი. ერთ—ერთ კედელზე რამდენიმე ძველებური იარაღი ჰკიდია. აქა—იქ ქართველ მწერლების სურათები მოსჩანს. მაგიდაზე მრავალი მილოცვის ბარათები ჰყრია. სტუმრები უკვე შეიკრიბნენ და ჯგუფ-ჯგუფად მუსაიფობენ.

—დღეს თქვენ მეტად ჰშვენით, ბატონო ნიკო! ეშმაკურის ღიმილით შენიშნა თაიგულის მომტანმა ქალმა.

—ნუ თუ? უპასუხა ნიკომ დაკმაყოფილების სიწითლემ გადაჰკრა სახეზე.

მართლაც ნიკო ჯერ უცოლო, ახალგაზრდა, წარმოსადეგი ვაჟკაცია. მოპარსულ სახეს შავი გაწკეპილი ულვაშები მეტად ამშვენებს. შავი სერთუკი აცვია. სუფთა, გახამებული თეთრი გალსტუხი ამშვენებს,

ნიკო კერაშვილი ერთი ღარიბი გლეხკაცის შვილია. მისი მამის ცხოვრების სახსარი იყო მხოლოდ ორი დღის მიწა და ერთი უღელი ხარი. იგი მხოლოდ თავის შრომით სცხოვრობდა, დღე და ღამესასწორებდა და დიდის გაჭირვებით დღიურად ცოლ-შვილი გამოჰყავდა. ნიკოს დედა, ნატოც, მხარში უდგა ქმარს და მძიმე ცხოვრების უღელს უმსუბუქებდა. ნიკო უფროსი შვილი იყო. სამ ქალში ეს ერთი ვაჟი ჰყავდათ. როცა ნიკო მოიზარდა, მისი დედა ჩასციებოდა ქმარს:

—კაცო მივ ბაროთ ჩვენი შვილი სოფლის სკოლაში, წერა-კითხვა მაინც ვასწავლოთ, რომ კაცი გამოვიდეს. პირუტყვები ჩვენა თავი არ გვეყოფა?

—რამ გაგაგიჟა, დედაკაცო, ეუბნებოდა გაჯავრებული ქიტესა, რითი უნდა ვასწავლოთ, სადა გვაქვს შეძლება, ისეც ვაი ვაგლახით ვცხოვრობთ; ან კი რად მინდა მაგისი სწავლა, მერე ჩვენ აღარცკი გვიკადრებს. მე მინდა ჩემი ტოლი იყვეს ჩემი შვილი. გვერდში ამომდგეს და ჩემთან ერთად სწიოს ჰაპანი როცა მოვხუცდები და მუშაობა აღარ შემეძლება, ეგ უნდა იყვეს ჩემი ნუგეში.

მაგრამ ნატო მაინც არ მოეშვა და ბოლოს ნიკო მიაბარეს. პატარა ნიკო ნიჭიერი გამოდგა, ძრიელ კარგათ სწავლობდა. როცა სოფლის ორკლასიანი სკოლა გაათავა, მასწავლებლების რჩევით იგი სამოქალაქო სასწავლებელში მიაბარეს. ნიკომ სამოქალაქო ოთხ კლასიანი სასწავლებელიც კარგი ატესტატით გაათავა და დაბრუნდა სახლში. დედმამას და დების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მთელ მათ სიამაყეს ნიკო შეადგენდა. მალე ნიკო სამსახურში შევიდა. ერთობის დროს ნიკომ ახალი, უფრო კარგი ადგილი მიიღო და დიდ ჯამაგირსაც იღებს პირველ ხანებში ხშირად დაიარებოდა სოფელში, მაგრამ გავიდ ხანი და სამსახურითა და ქალაქის ცხოვრებით გართულმა თან და თან მიივიწყა სოფელი ..

ნიკომ ამოიღო ოქროს საათი,—უკვე 4 სრულდებოდა.

—მობძანდით ბატონებო, სასადილო ოთახში, მიმართა მან სტუმრებს.

გრძელი მაგიდა სავსე იყო საუზმით, ტკბილეულობით და სხვა და სხვა ძვირფასი სასმელებით. უხვმა სუფრამ სტუმრები მალე გაამხიარულა, ისმოდა სადღეგრძელოები, სიცილი ს მღერა. დროგამოშვებით საგულისხმიერო ბაასიც ჩამოვარდებოდა ხოლმე. უფრო დღევანდელს საჭირბოროტო კითხვებს შეეხებოდა. ბევრი ილაპარაკეს ახალ წესწყობილებაზე, წოდების გაუქმებაზე მიწების დარიგების შესახებ, და საზოგადოთ დემოკრატიის იმედებს და საქმიანობაზე. განსაკუთრებით აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ სამშობლოსა და მის ბრწყინვალე მომავალზე.

სტუმრები უკვე შეზარხოშებული იყვნენ რომ შემოვიდა მსახური.

—ბატონო, ერთი ბერიკაცი გიახლდათ. თქვენა გკითხულობთ

—ვინ არის? იკითხა ნიკომ და გარეთ გავიდა

აივანზე იდგა წელში მოხრილი მოხუცი, ტანზე ძველი ჩოხა ეცვა, ფეხებზე კი ძველი ქალამნები.

—მამა შენა ხარ? გამარჯობა! უთხრა დაბალის ხმით ნიკომ.

—მე ვარ, შვილო, ძლივს მოგაგენი კითხვის—კითხვით სთქვა ხმის კანკალით მოხუცმა და ათრთოლებულის ხელებით შვილისკენ გაიწია, უნდა გადახვეოდა დიდი ხნის უნახავს ნიკოს,

—მოიცა, მამა,—გააჩერა ნიკომ მე ეხლა არა მცალიან, სტუმრები მყავს, სამზარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულოში, მოიცა ცოტა ხანს, სტუმრები მალე წავლენ და მერე შემოხვალ. შეიყვანეთ სამზარეულოში, —დაუძახა ნიკომ მზარეულს, ჩვენებური კაცია, კარგათ გაუმასპინძლდით, ყველაფერი მიუტანეთ, არაფერი დააკლოთ. ეს რომ სთქვა სიჩქაროდ სტუმრებთან დაბრუნდა.

საბრალო მამას ელდა ეცა შვილის ასეთმა გულგრილობამ გული დაუთუთქა; იგი იდგა გაშეშებული ერთ ალაგს რამოდენიმე ხანს, ბოლოს დაღარულს სახეზე ცრემლები ჩამოსცვივდა

— მოდი ბერიკაცო, რას გაჩერებულხარ, აი ეს კერძი, ღვინოსაც დაგალევინებ, —მოიპატიჟა მზარეულმა მოსამსახურე ბიჭი. კიგაკვირვებით უცქეროდა და ვერ მიმხვდარიყო რაში იყო საქმე.

ცოტა ხნის შემდეგ ქიტესა გამოირკვა, ჯოხი აივანზე მიაყუდა და სასტუმროს კარებისკენ გაემართა.

—სად მიხვალ, კაცო; მანდ რა გინდა, საჭმელ — სასმელი აგერ აქ არის, უძახდა მზარეული.

ქიტესამ გაბედულად შეაღო კარი.

ბატონები ადღეგრძელოს ღმერთმა! სთქვა ქიტესამ და ქუდი მოიხადა ნუ გამიწყრებით, თქვენი ჭირიმეთ, რო შეგაწუხეთ და ხელი შეგიშალეთ.

მამის დანახვაზე ნიკოს ფერმი გადაჰკრა იგი ზეზე წამოვარდა მივიდა მამასთან, ხელი მოჰკიდა და შეუტია: აკი გითხარი გარეთ მოიცა მეთქი.

ნიკო, რათ იახოვ ბერიკაცს, მიაძახეს აქეთ იქიდან,

—მობძანდი ბერიკაცო, სტუმარი ღვთისაა, უპასუხა თამადამ და სკამი მისთავაზა.

ქიტესა შორი ახლოს ჩამოჯდა.

—მოდი ახლოს, სუფრაზე დაგვეწვიე, მოუბრუნდა ქიტესას ძველი ერთობის მუშაკი ივანე:

—არა ბატონ, მე არაფერი მინდა.

—ბერიკაცო დაგვლოცე მაინც.

—ნუ სწუხდები შენი ჭირიმე, მე არც სასმელი მინდა არც საჭმელი;

—სადაური ხარ, ბერიკაცო, ჰკითხა ვანემ, რათ ჩამოსულხარ რითა ხარ აღელვებული?

—ფრონისთავიდან ვარ, ბატონო, მე ნიკოს მამა გახლავარ. აგერ ხუთი წელიწადია, რაც ჩვენი ნაამაგდარი, წვითა და დაგვით სიდარიბით გამოზრდილი შვილი ქალაქშია. ხუთი წელიწადია რაც შვილის ამბავი არ მგვიდია. მკვდარია ცოცხალი არ ვიცით. ჩემ დედაკაცს ხომ თვალზე ცრემლები არ შაშრობია დარდით ლოგინათ ჩავარდა, დიდხანს ივახვახა და ბოლოს თავისი შვილის ნატვრაში საცოდავს სული ამოუვიდა. დავრჩი სამი ქალით, უპატრონოთ. ოჯახი დამეღუპა. დაუძლურდი. ჯანი გამიტყდა, მუშაობა აღარ შემიძლიან—ქიტესა გაჩერდა და ჩოხის კალთით ცრემლები მოიწმინდა, ვიფიქრე, წავალ, რაც უნდა დამემართოს, ჩემს შვილს ვიპოვი მეთქი და აგერ მოვაგენი კიდეცა. შვილმა არ მიკადრა, ჩემი მამობა ითაკილა, სახლში არ შემომიშვა... ეჰ მადლობა ღმერთსა, რახან ჩემი ნიკო ცოცხალი ვნახე აღარს ვინაღვლი, თითონ იყოს ბედნიერი და,

ნიკოს ნიდაყვზე დაყრდნობილს თავი დაბლა დაეხარა: იგი ქანდაკებასავით იჯდა რამდენიმე ხანი სტუმრები უკვე წასულიყვნენ კო აივანზე გამოვარდა და შეჰყვირა;

—სად არის მამაჩემი?

—რომელი ბატონო?

—აქ რო ბერი კაცი იყო,

—იმან ჯოხი იღო და მითხრა: მოახსენე ბატონს, ბერიკაცი სოფელში წავიდათქო.

მარიამ წინამძღვრიშვილისა.

## მარცვლები

(დამაკვირდი)

თუ გინდა ძლიერი იყო, ზნეობა-გონებით ამაღლდი და ცრუმორწმუნეობაზე გაიმარჯვე.

*

ადამიანი უკერპოდ ვერა სცხოვრობს, —ძველებს ამხობს, რომ ახალი აღმართოს.

*

ყოველ დროს თავისებური ჭეშმარიტება აქვს და სწამს.

*

წოდებრიობა არა ჰქრება, იცვლება მისი სახე წოდებათა ურთიერთობა.

*

საკუთარი ბედი ყველას საკუთარ ხელში აქვს.

*

ვისაც თავისი ძლიერება არა სწამს და სხვას შესცქერის, დაღუპულია,

*

ჩემი ძალა—ჩემი რწმენაა.

იცვლება ცხოვრების პირობები, იცვლება რწმენა შეხედულობანი.

**იოსებ ამირათელი**

## სხვადასხვა ამბები

**სუფსაში** აპრილის 21 სახალხო სახლის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად წარმოდგენილი იქმნა „გოგია უიშვილი,‘‘ დრ. 1 მოქ, ე. ნინოშვილის თხუზელებიდან, „ოთხი იმერელი‘‘ ვოდ. 1 მოქ. და დივერტისმენტი. ანდრაქტების დროს უკრავდა. სიმებიანი ორკესტრი. წარმოდგენაში მონაწილეობდენ ბათუმის მსახიობები, რომლებმაც დანაკისრი საქმე საუცხოვოთ შეასრულეს და დამსწრე საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვეს, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან განსაკუთრებით მადლობის ღირსია ფ. ვადაჭკორია და ო. სარიშვილი რომელთაც გასულ კვირას ამავე მიზნით გამართულ წარმოდგენაში უსასყიდლოთ მიიღეს მონაწილეობა.

**ბ. ჭანტურია**

**ველისციხეში** (კახეთი) ველისციხის სცენის მოყვარეთა სექციის გამგეობამ შაბათს 26 აპრილს თავის საკუთარ საზაფხულო თეატრში გამართა წარმოდგენა. როგორც საზოგადოთ მიღებულია სეზონის გახსნა ისტორიული პიესით, აქაურმა სექციამაც არ უღალატა ამ სეზონის დაწყების ტრადიციას და დადგა ისტ. ცნობილი პიესა ,,და-ძმა.“ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა გარდა მოწვეულ იქმნენ ჩვენი ცნობილი მოღვაწენი კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი, პოეტი ბ. ახოსპირელი და თელაველი სცენის მოყვარე ქ—ნი თ. ღვინიაშვილი. კარგი იყო გაიოზის როლში ნ. სულხანიშვილი, რომელმაც თავის დის მარინეს სულიერ ტანჯვას თვის სულიერი განცდა ჰარმონიულად ჩააქსოვა. უნაკლოდ ჩაატარა მარინეს როლი ქ—ონ თ. ღვინიაშვილმა: მისი დიქცია, მიმიკა გამოცდილ უკვე დახელოვნებულ მსახიობს გაგონებდათ. კარგი იყო და შეუდარებელი ოტია ჯოლიას აღმსრულებელი ბ—ნი ელ. ჯანდიერი, რომელმაც სავსებით განასახიერა ოტია. ნამდვილი ფაშა იყო ჩვენი დამსახურებული სცენის-მოყვარე მ. ისაკოვი. დანარჩენებიც ყველანი ხელს უწყობდნენ ანსამბლს და მაყურებლებზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა პიესის მსვლელობა. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენის საღამოს ჰაერი აირია, რამაც ხალხი შეაფიქრიანა, წარმოდგენას მაინც საკმაოდ დაესწრო ხალხი. უნდა აღვნიშნოთ რომ ველისციხელები თეატრის მოყვარული ხალხია და დიდ პატივსაც სცემენ მას. წარმოდგენის შემოსავალი დაახლოვებით 1, 300 მან. იყო რომელიც ველისციხეშივე არსებულ სახალხო სახლის საალშენებლივ ფონდს გადაეცა. აქეთ-იქით

**ახალი ჟურნალები** მოევლინა ჩვენს მწიგნობრობას. ერთია ხელოვნების ყოველი თვიური გამოცემა „თეატრი და მუსიკა“, რომელიც ქუთაისში გამოდის იოსებ ასლანიშვილის რედაქტორობით, მეორე-,,შვიდიმნათობი“, სალიტერატურო-სამეცნიერო თვიური ჟურნალი, კოლეგიის რედაქტორობთ, გამოდის თბილისში ორივე არაჩვეულებრივი სახის გამოცემაა, რჩეული მასალით და სურათებით შემკული. ბეჭდვითი სამქის გაძნელების დროში ასეთი გამოცემანი საამო მოვლენაა და ჩვენის მწერლობის უეჭველი განძია. პირველი ღირს თუმანი, მეორე—25 მან. თითო ნომერი.

**თელავში** დაარსდა ქართული სამუსიკო საზოგადოების განყოფილება

**ცხოვრების ტრაღედია** ახალი ფანტესტიური პიესა 3 მოქმ. კ. გულიაშვილი-კარდანახელისა, მივიღეთ. წიგნი შეიცავს 32 გვ. დაბეჭდილია სუფთად და ღირს-1 მან. 50 კ.

**სოხუმში** ქართ. სამუსიკო საზ-ის დავალებით ზ. ჩხიკვაძემ აპრილის 23 დააფუძნა სოხუმის აფხაზ-ქართველთა სამუსიკო საზოგადოება. თავჯდ. არჩეულია ასცაეურ ინალივა, მის ამხ. ნ. თგვდგირიძე.

**ქართველ მსახიობთა კავშირის** წლიური კრება გაიმართება მაისის 20.

**შ. არაგვისპირელის** 30 წ. სამწერლო მოღვაწეობის იუბილე გაიმართება მაისის 19. ამ დღისთვის გამოვა მისი დიდი სურათი და კრიტიკული მიმოხილვა ვ. კოტეტიშვილისა ,,შავი წიგნი!“

**სახელმწიფო თეატრი** იწვევს იმ პირთ, ვისაც სურს საოპერო გუნდში იმსახუროს ჯამაგირით. ჩაწერვა თეატრის კანტორაში 11—2ს პირველი გამოცდა მაისის 12 2—4 ს.

**მწერალ ქალს** ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას წელს 25 წლიწადი შეუსრულდა; რაც მწერლობს.

**ქართული ლატარიის გათამაშება** გადაიდო ამ წლის ნოემბრის 2—ისთვის.

**ქართველ მხატვართ ნახატების** გამოფენაა დიდების ტაძარში გაიხსნა მაისის 4. გამოფენამ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა და არა ჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ მხატვართა ნამუშავარი და შემოქმედება ნაყოფიერი აღმოჩნდა: ხელოვნების ყველა ერთგულ მოყვარულს გული სიხარულით ევსებოდა ამ გამოფენაზე. აშკარად სჩანს თვისებურება, ახალი გზების ძიება და მშობლიურ მხატვრობის გაცოცხლება. ბევრი ნახატი და ქანდაკება გაყიდა, ზოგისა ორ-ორი. ვაშა ქართველ მხატვართ! დაწვრილებით შემდეგ.

**შევარდენთა** საღამომ—ტანთვარჯიშობამ სახელმწიფო თეატრში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია და ყველა უზომო მადლობას უძღვნიდა ამა საქმის მეთაურ-მონაწილეთ: ყმაწვილების, ქალების და ვაჟთა ვარჯიშობა, თითქოს ერთი მეორეს სჯობნიდა. იღვიძებს ძველი ასპარეზობა: სხეულის ვარჯიშობა, განმვითარება, რასაც სულის განვითარებაცა მოჰყვება. და თუ მართალია ის აზრი რომ ჯანსაღო სხეულში ჯანმრთელი სულიაო, უნდა ვისურვოთ, რომ შევარდენთა მოღვაწეობა ჩვენის ქვეყნის ყოველ კუთხეს ნოჰფენოდეს.

## შემოწირულება

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრების საგამომცემფონდის გასაძლიერებლად მივიღეთ:

| | | |
|---|---|---|
| 1. | სოფიო მიხ. ჯაგოდნიშვილისგან | 10 მ. |
| 2, | მ. ა. წ—იგან | 50 მ. |
| 3 | დ. ქ—შვილისგან | 50 მ, |
| 4, | ხაქ. სოლ. ბილანიშვილისგან | 50 მ. |
| 5. | ან. ნ. ჟ—სგან | 100 მ. |
| 6, | უცნობისგან | 10 მ. |
| 7. | ირაკლი ბოხუასგან | 25 მ. |

შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით. რედ.


# უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ, მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა. ფასი 30 მანეთი

სამხატვრო ,,საქართველო“

ხელოვნ მხატვარ დიანოზ შ კიკნაველიძისა

ადიდებს ფოტოგრაფიულ სურათებს, ასრულებს ყოველგვარ მხატვრულ საქმეს, იღებს საეკლესიო ბდასხვა შენაკვეთებს, ამზადებს დროშებს, საუცხოოდ და ფაქიზად. მისამართი: 1) მეტრე კომისარიატი, თავისუფლების ქ. (სამავოლნა ქ) № 1 2) „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია.


რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი